ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 339

„21“ ივლისი 2023 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ენსი გრუპს“ (ს/კ. 405186365) შორის 2021 წლის 15 ივლისს გაფორმებული „ქ. თბილისში, დიდი დიღმის დასახლების მიმდებარედ არსებული, ჯამურად 8118 კვ.მ. ფართობის, №01.10.06.002.064 და №01.10.06.002.065 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების (წინა საკადასტრო კოდი: ს/კ. №01.10.06.002.046) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან შპს „ენსი გრუპის“ (ს/კ. 405186365) გათავისუფლების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ვ“ და „ე.კ“ ქვეპუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ენსი გრუპს“ (ს/ნ. 405186365) შორის 2021 წლის 15 ივლისს გაფორმებული „ქ. თბილისში, დიდი დიღმის დასახლების მიმდებარედ არსებული, ჯამურად 8118 კვ.მ. ფართობის, №01.10.06.002.064 და №01.10.06.002.065 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების (წინა საკადასტრო კოდი: ს/კ. №01.10.06.002.046) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულების 6.1.2 და 8.2 პუნქტ(ებ)ის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ენსი გრუპს“ (ს/ნ. 405186365) შორის 2021 წლის 15 ივლისს გაფორმებული „ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლების მიმდებარედ არსებული, ჯამურად 8118 კვ.მ. ფართობის, №01.10.06.002.064 და №01.10.06.002.065 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების (წინა საკადასტრო კოდი: ს/კ.

№01.10.06.002.046) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანასა და ამავე ხელშეკრულების 3.6. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო, 6.1.3. პუნქტის შესაბამისად, დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „ენსი გრუპის" (ს/ნ. 405186365) გათავისუფლების თაობაზე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ენსი გრუპს" (ს/კ. 405186365) შორის 2021 წლის 15 ივლისს გაფორმებული „ქ. თბილისში, დიდი დიღმის დასახლების მიმდებარედ არსებული, ჯამურად 8118 კვ.მ. ფართობის, №01.10.06.002.064 და №01.10.06.002.065 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების (წინა საკადასტრო კოდი: ს/კ. №01.10.06.002.046) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან შპს „ენსი გრუპის" (ს/კ. 405186365) გათავისუფლების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 12 ივლისის №23.1023.1146 განკარგულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე